შპს ინტერბიზნესის აკადემიისპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

შპს ინტერბიზნესის აკადემიის შესახებ

შპს ”ინტერბიზნესის აკადემია“ წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირს, რომელიც ლეგიტიმურ საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს აკადემიის მისიის საფუძველზე და ფარგლებში.აკადემია ფუნქციონირებს 1992 წლიდან. აკადემიის დირექტორია ინგა მანაშერიძე.

ინტერბიზნესის აკადემია აცნობიერებს, რომ განათლება წარმოადგენს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას, ამიტომ მისი მისიაა:
ინტერდისციპლინარული პროფესიული განათლების მისაღებად, პარტნიორ დაწესებულებებთან ერთობლივად პროფესიის შესაბამის რეალურ გარემოში, შრომის ბაზარზე ადაპტირებული კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრის მომზადება. ინდივიდის მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა.

აკადემიის ღირებულებებია: გუნდურობა, პროფესიონალიზმი, მაღალი პასუხიმგებლობა, ეთიკურობა, საჯაროობა, თანასწორობა, სამართლიანობა;

დირექტორის მიმართვა

ინტერბიზნესის აკადემია ერთ-ერთი წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც მეოთხედი საუკუნეა ემსახურება ახალგაზრდა თაობის სწავლა-განათლებას. ჩვენ გთავაზობთ სრულყოფილ, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ სასწავლო გარემოს, საინტერესო და მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას. აკადემიასთან თანამშრომლობენ ქვეყნის ლიდერი კომპანიები, ჩვენი პარტნიორი-დამსაქმებლები, რომლებიც ჩართულნი არიან პროგრამების განხორციელებაში საკუთარი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროგრამებში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული პარტნიორ-დამსაქმებელთა მოთხოვნები. სწავლების უმეტესი ნაწილის პრაქტიკის ობიექტებზე წარმართვა გარანტირებულს ხდის სტუდენტების დასაქმებას. ამ თანამშრომლობის შედეგად, ჩვენი კურსდამთავრებულები წარმატებით საქმიანობენ სხვადასხვა სფეროში. აკადემიაში მოღვაწეობს მაღალი დონის ადმინისტრაციული და სასწავლო პერსონალი, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების საჭიროებებზე და ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებს ახალგაზრდობის სწორად აღზრდასა და განათლებისათვის.

პროფესიის არჩევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებაა. გააკეთეთ სწორი არჩევანი! ისწავლეთ ინტერბიზნესის აკადემიაში!

ჩვენ, პარტნიორ-დამსაქმებლებთან ერთად, გთავაზობთ მოთხოვნად პროფესიებს და დასაქმებას.

ინგა მანაშერიძე

აკადემიის ისტორია

1992 - დაფუძნდა შპს კომპანია "ინტერბიზნესი"
დამფუძნებლები: მიხეილ მანაშერიძე, ინგა მანაშერიძე.

1992 - დაარსდა შპს კომპანია "ინტერბიზნესის" მრავალპროფილიანი სამედიცინო სასწავლებელი.

1995 - დაიწყო თანამშრომლობა იერუსალიმის უნივერსიტეტთან არსებულ ასაფ ჰაროფეს სამედიცინო ცენტრის საფერშლო სკოლასთან.

1995 - დაარსდა შპს კომპანია "ინტერბიზნესის" ხელოვნებისა და შოუბიზნესის აკადემია.

1997 - დაიწყო თანამშრომლობა გერმანიის ქ. ჰანოვერის ყბა-სახის სამკურნალო სამედიცინო უმაღლეს სკოლასთან

1997 - გაიხსნა შპს კომპანია "ინტერბიზნესის" საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა-ბაზა.
ლიცენზია ოებ № 00659.

2000 - საქართველოს განათლების სამინისტროს 2000 წლის 22 მაისის №01–17– 08/808 ლიცენზიით ფუნციონირება დაიწყო შპს კომპანია "ინტერბიზნესის" სტომატოლოგიის ინსტიტუტმა ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით სტომატოლოგიის სპეციალობით.

2003 - შპს კომპანია "ინტერბიზნესის" სტომატოლოგის ინსტიტუტისა და მრავალპროფილიან სამედიცინო სასწავლებელს მიენიჭა საქართველო-ისრაელის თვალსაჩინო მწერლის, ლიტერატორისა და მთარგმნელის, თამარ მამისთვალოვ- კეზერაშვილის სახელი და წარჩინებული სტუდენტებისათვის დაარსდა მისივე სახელობის სავალუტო სტიპენდია.

2004 - უმაღლესი სასწავლებელი გადავიდა სწავლების ევროპულ სტანდარტებზე.

2005 - უმაღლესი სასწავლებელს მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია №2–19207.

2007 - უმაღლესი სასწავლებელი სასწავლო პროცესს ახორციელებს ევროპული სტანდარტების საკუთარ შენობაში.

2008 - უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს "ინტერბიზნესის აკადემიის" სახელწოდებით.

2011 - დაიწყო თანამშრომლობა არიელის (ისრაელი) უნივერსიტეტთან.

2012 - "ინტერბიზნესის აკადემიას" 5 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული სადანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი).

2012 - გაიარა პროგრამული აკრედიტაცია.

2013 - "ინტერბიზნესის აკადემია" საქართველოს კერძო კოლეჯების ასიციაციის დამფუძნებელი პარტნიორია.

2013 - გაიარა პროგრამული აკრედიტაცია.

2013 - დაიდო ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება არიელის უნივერსიტეტსა (ისრაელი) და შპს "ინტერბიზნესის აკადემიას" შორის ერთობრივ საბაკალავრო პროგრამების "ბიზნესის ადმინისტრირება" და "ინფორმატიკა" განხორციელებაზე.

2014 - მიენიჭა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 20 ნოემბრის #28 გადაწყვეტილებით.

2015 - დან ახორციელებს "სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება- გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამას".

2016 - მიენიჭა ბრენდირების 5 ვარსკვლავი.

2016 - მიენიჭა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური სამსახურის სააგენტოს საუკეთესო პარტნიორის ტიტული „განსაკუთრებული თანამშრომლობის და დასაქმების ხელშეწყობისათვის გაწეული ღვაწლისათვის, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ხელშეწყობისათვის".

2017 - მიენიჭა ბრენდირების 5 ვარსკვლავი.

2018 - მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი). პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის 08 მაისის #79 გადაწყვეტილებით.

მისამართი: საქართველო, თბილისი 0178, შ. ჯაფარიძის 8.
ტელ.: 260 54 23
ფაქსი.: 261 54 23
ელ-ფოსტა: info@interbusiness.edu.ge
ვებ-გვერდი: www.interbusiness.edu.ge

შპს ინტერბიზნესის აკადემია ახორციელებს შემდეგ მოდულურ პროფესიულ პროგრამებს:

ჯანდაცვა (მიღება სრული ზოგადი განათლებით)

- ფარმაცია (სააფთიაქო) - V საფეხური; სწავლის ხანგრძლივობა- 2 წელი;
  სავარაუდო წლიური გადასახადი 1800 ლარი;
  პარტნიორ-დამსაქმებელი: შპს PSP ფარმა;
- საექთნო საქმე - V საფეხური; სწავლის ხანგრძლივობა- 3 წელი;
  სავარაუდო წლიური გადასახადი 1800 ლარი.
  პარტნიორ-დამსაქმებელი: სს „კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი"; შპს „ავერსი კლინიკა".

ბიზნესის ადმინისტრირება (მიღება საბაზო და სრული ზოგადი განათლებით)

- ბუღალტრული აღრიცხვა - V საფეხური; სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი;
  სწავლის წლიური გადასახადი 1700 ლარი.
- საფინანსო სერვისები - III საფეხური; ასაკი 17 წლიდან; სწავლის ხანგრძლივობა- 1 წელი;
  სავარაუდო წლიური გადასახადი 1500 ლარი;
  პარტნიორ-დამსაქმებელი:კრედო ბანკი; შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი+;
- საოფისე საქმე - IV საფეხური; სწავლის ხანგრძლივობა- 1 წელი;
  სწავლის წლიური გადასახადი 1500 ლარი;
- სადაზღვევო აგენტი - IV საფეხური; სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი;
  სწავლის წლიური გადასახადი 1600 ლარი.
  პარტნიორ-დამსაქმებელი: სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი"
- ღონისძიების ორგანიზება - IV საფეხური; სწავლის ხანგრძლივობა- 1 წელი;
  სწავლის წლიური გადასახადი 1600 ლარი.
- კულტურული მემკვიდრეობის გიდი - V საფეხური; სწავლის ხანგრძლივობა- 2 წელი;
  სწავლის წლიური გადასახადი 1800 ლარი.
  პარტნიორ-დამსაქმებელი: შპს „ქოლორ ტურ ჯორჯია"

ინჟინერია (მიღება საბაზო და სრული ზოგადი განათლებით)

- ინფორმაციის ტექნოლოგია - III საფეხური; სწავლის ხანგრძლივობა 1 წელი;
  სწავლის წლიური გადასახადი 1500 ლარი. პარტნიორ-დამსაქმებელი: შპს „მაზერი"
- ვებტექნოლოგიები - IV საფეხური; სწავლის ხანგრძლივობა- 1 წელი;
  სავარაუდო წლიური გადასახადი 1700 ლარი;

საგნობრივი
ჯანდაცვა (მილევადი)

- **პრაქტიკოსი ექთანი** - V საფეხური; სწავლის ხანგრძლივობა- 2,5 წელი; სწავლის წლიური გადასახადი **1800 ლარი.**

  პარტნიორ-დამსაქმებელი: სს „კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“; შპს „ავერსი კლინიკა“.

"სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში, შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ხორციელდება, შემდეგი უფასო მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამები:

1. ფარმაცევტის თანაშემწე;
2. ბუღალტერი;
3. ბუღალტერ-ტექნიკოსი;
4. ოფისის მენეჯერი (მდივან - რეფერენტი);
5. ოფისის მენეჯერი (ეფექტური მართვა);
6. ინფორმაციული ტექნოლოგი (საოფისე პროგრამები)
7. VEB-პროგრამისტი;
8. VEB-პროგრამირება (დიზაინი)
9. კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი;
10. პრაქტიკოსი ექთანი (მანიპულაციები)
11. ექთნის თანაშემწე (ავად მოვლა).

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა

1. ფარმაცია (საათიაქო)V საფეხური

I.მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში.

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:სრული ზოგადი განათლება

III.კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:
მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციით ფარმაციაში (სააფთიაქო) პირს შეუძლია დასაქმდეს აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე.

IV. პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;

V. სწავლის შედეგები:პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;
- დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა;
- შეამოწმოსსასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;
- განათავსოს პროდუქციასათანადო ადგილზე;
- ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი;
- განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება–მარკირება;
- მომზადებარეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები;
- გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისასფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;
- განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი

- პროდუქციის შერჩევა-მიწოდება,კონსულტაციის გაწევაპარაფარმაცევტულიპროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
- განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;
- განახორციელოს ანგარიშისმომზადება–ჩაბარებაპროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ;
- დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა დაუსაფრთხოების წესები.

VI. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- **მოცულობა: 120 კრედიტი**
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 20 სასწავლო თვე

VII. **პრაქტიკის და დასაქმების უზრუნველსაყოფად** გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „პსპ ფარმასთან“.

2. საექთნო საქმე V საფეხური

I.მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში.

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:სრული ზოგადი განათლება

III.კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:
ჯანდაცვის სფერო, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებები, შინმოვლის სფერო, სხვა ტიპის ორგანიზაციები, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.
დასაქმების პოზიციები:

- ექთანი
- ექთნის ასისტენტი
- ექთნის თანაშემწე
- პრაქტიკოსი ექთანი
- ასოცირებული პროფესიონალი ექთანი

IV. პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი,ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.

V. სწავლის შედეგები:პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა;
- განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
- დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისადა მოვლის ხარისხის შეფასება.
-

VI. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა: 180 კრედიტი**
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 30 სასწავლო თვე

VII. პრაქტიკის და დასაქმების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება სს „კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრთან“; და შპს „ავერსი კლინიკასთან“.

3. ბუღალტრული აღრიცხვა V საფეხური

I. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:სრული ზოგადი განათლება

III.კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:
ბუღალტრულ აღრიცხვაში მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და

საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

IV. პროგრამის მიზანი:პროგრამის მიზანია მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

V. სწავლის შედეგები:პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა;
- შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს(სააღრიცხვოდოკუმენტები);
- აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები;
- შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება;
- აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით;
- აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე;
- აწარმოოს მმართველობითიაღრიცხვა;
- შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

VI. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა: 99 კრედიტი**
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 15სასწავლო თვე

VII. პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება ლუკაპაჩიოლის საბუალტრო ცენტრის შპს „ფოლოუმთან“ და შპს ლგ გრუპთან

4. კულტურული მემკვიდრეობის გიდი V საფეხური

I. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდისმეხუთე საფეხურისპროფესიულიკვალიფიკაცია

II. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

III. **კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:** პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ტურისტულ სააგენტოში, ტურიზმის დეპარტამენტში, ტუროპერატორ კომპანიაში, მუზეუმში, ნაკრძალების/დაცული ტერიტორიების, არქეოლოგიურ ან არქიტექტურულ ძეგლებთან არსებულ საექსკურსიო ბიუროებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, თვითდასაქმებით, მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

IV. **პროგრამის მიზანი:**მოამზადოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვალიფიციური გიდი, მისცეს საჭირო თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ–ჩვევები, რათა შეძლოს კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმება.

V. **სწავლის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ ტურისტებისათვის შემუშავებული ტურისტული მარშრუტისა და შესაბამისი პროგრამის განხორციელება;
- საექსკურსიო მომსახურება მთელი საქართველოს ან/და კონკრეტული რეგიონის მასშტაბით;
- ტურისტული ჯგუფის მართვა;
- ტურის საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელება;
- პრობლემური სიტუაციების მართვა;
- ექსკურსიის მომზადებადა ჩატარება.

VI. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- **მოცულობა: 95 კრედიტი**
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 15სასწავლო თვე

VII. **პრაქტიკის უზრუნველსაყოფად** გაფორმებულია ხელშეკრულება შპს ქოლტურ ჯორჯიასთან

5. სადაზღვევო აგენტი IV საფეხური



I. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:**სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

II. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :**სრული ზოგადი განათლება

III. **კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:** პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სადაზღვევო, სადაზღვევო - საბროკერო, საკონსულტაციო ორგანიზაციებში ან იმუშაოს დამოუკიდებელ აგენტად.

IV. **პროგრამის მიზანი:**პროგრამის მიზანია შრომის ბაზარს შესთავაზოს კადრი, რომელიც შეასრულებს სადაზღვევო ორგანიზაციასა და კლიენტს შორის შუამავლის ფუნქციას. სადაზღვევო აგენტი,მისთვისმინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,იმოქმედებს დამზღვევისდავალებით; მოიძიებს ინფორმაციებს მომხმარებლის შესახებ, მათ შორის მის ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელიც საჭიროა შესაბამისი სადაზღვევო პაკეტისა და მისი პირობების განსაზღვრისათვის; პოტენციურ მომხმარებლებს გააცნობს კომპანიის პროდუქტებს, აჩვენებს მათ პოზიტიურ მხარეებს, დაარწმუნებს პროდუქტის შეძენის საჭიროებებსა და ზოგადად დაზღვევის მნიშვნელობაში; კლიენტებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს, რათაგანსაზღვროს რისკის ხარისხი, გადახდის პირობები და შეურჩიოს შესაბამისი სადაზღვევო პაკეტი.

V. **სწავლის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- პოტენციური მომხმარებლების მოძიება;
- მომხმარებლების მონაცემთა ბაზაში მუშაობა;
- მოლაპარაკების წარმართვა;
- სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმება;
- სადაზღვევო აგენტის პორტფელის მართვა.

VI. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- **მოცულობა:** 87კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 14 სასწავლო თვე

VII. **პრაქტიკის უზრუნველსაყოფად** გაფორმებულია ხელშეკრულება სს " სადაზღვევო კომპანია ალდაგი".

6. საოფისე საქმე IV საფეხური

I. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:მეოთხესაფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

III. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:
საოფისე საქმის სპეციალიზაციის მქონე პირს შეუძლია დასაქმდეს საჯარო და კერძო დაწესებულებებში ოფისის მენეჯერად, ხელმძღვანელისთანაშემწედ, მდივნად. დოკუმენტაციის წარმოებასა დაგარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფების ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად და დამხმარე მუშაკებად.

IV. პროგრამის მიზანი:უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ ადმინისტრაციულ დამხმარე პერსონალს, რომელიც შეძლებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულების აქტივობების დაგეგმვას, მართვასა და დაწესებულების დოკუმენტბრუნვას;

IV. სწავლის შედეგები:
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- დაგეგმოს შეხვედრები და მივლინებები;
- მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის დაგეგმვაში;
- აწარმოოს მიმოწერა სხვადასხვა საკითხებზე;
- მოამზადოს დოკუმენტების პროექტები;
- მართოს ორგანიზაციის დოკუმენტბრუნვა;
- კოორდინირება გაუწიოს ორგანიზაციული ქვედანაყოფების საქმიანობას;
- უზრუნველჰყოს ინფორმაციის გაცვლა ორგანიზაციის სხვადასხვა ქვეგანყოფილებას შორის.

V. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა: 59 კრედიტი**
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 10სასწავლო თვე

VII. პრაქტიკის უზრუნველსაყოფადგაფორმებულია ხელშეკრულებანაძალადევის რაიონის გამგეობა; ვისოლ ჯგუფი.

7. ღონისძიების ორგანიზება IV საფეხური

I. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა : სრული ზოგადი განათლება

III. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:
ღონისძიების ორგანიზების კვალიფიკაციის მქონე პირსშეუძლია დასაქმდეს: ქორწილების ორგანიზატორად, ასევე კონფერენციების და ღონისძიებების ორგანიზატორად სახელმწიფო და საჯარო სტრუქტურებში, სადღესასწაულო ცენტრებში, ტურისტულ და სხვა კერძო კომპანიებში,კულტურულ და სპორტულ ასოციაციებსა და ფედერაციებში, ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული.

III. პროგრამის მიზანი:
უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს ღონისძიების ორგანიზატორს, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს, კოორდინირებასა და ორგანიზებას უწევს ყველა სახის ღონისძიების მომზადებასა და გამართვას.

IV. სწავლის შედეგები:
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- დაგეგმოს სადღესასწაულო, სპორტულ/ სანახაობრივ და ოფიციალურ/ საქმიანი ღონისძიებები;
- კოორდინირება გაუწიოს ღონისძიების მოსამზადებელ სამუშაოებს;
- ურთიერთობა ჰქონდეს ღონისძიებაში ჩართულ მხარეებთან;
- გაუკეთოს ორგანიზება ღონისძიების ტექნიკურ მომსახურებასა და უსაფრთხოებას;
- გაუკეთოს ორგანიზება ქორწილს;
- გააფორმოს ღონისძიებადა დიზაინი.

V. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა: 61 კრედიტი**
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 10სასწავლო თვე

VI. პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება სადღესასწაულო ცენტრთან „ბალუ“.

VII.

8. ვებტექნოლოგიები IV საფეხური

I. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

III. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები: ვებტექნოლოგიებში მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს ვებდეველოპერად, ვებგვერდის მხარდამჭერ სპეციალისტად ან ვებდიზაინერად.

IV. **პროგრამის მიზანი:** ჩარჩო დოკუმენტის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი პროფესიული პროგრამა, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს;

აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

V. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- შექმნას ვებგვერდის მაკეტი და მოარგოს სხვადასხვა მოწყობილობას;
- გააფორმოს ვებგვერდის ფონი, შრიფტი და ელემენტები სტილების საშუალებით;
- გადაწყვიტოს მარტივი ამოცანა JavaScript ენის ძირითადი ელემენტებისა და კონსტრუქციების გამოყენებით;
- მოახდინოს JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან;
- დააინსტალიროს გვერდის მართვის სისტემები (CMS) და ააწყოს ვებგვერდის დიზაინი;
- შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები;
- მოახდინოს გვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით;

- შეიმუშაოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები Angular-ის საშუალებით;
- მოამზადოს ვებინტერფეისის გრაფიკული დიზაინი;
- დაამუშაოს ვექტორული გამოსახულება;
- შექმნას ვებგვერდის მულტიმედიური კონტენტი;
- შექმნას ფოტომასალა ვებგვერდისთვის.

VI. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა: 63 კრედიტი**
- **სავარაუდო ხანგრძლივობა: 10** სასწავლო თვე

9. ინფორმაციის ტექნოლოგიაIII საფეხური

I. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

III. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

IV. პროგრამის მიზანი: ჩარჩო დოკუმენტის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი პროფესიული პროგრამა, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს;

აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

V. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალურიკომპიუტერი;
- დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემა;
- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
- განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
- შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
- მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

VI. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა: 60 კრედიტი**
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 9 სასწავლო თვე

VII. პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „მაზერი“;

10. საფინანსო სერვისები III საფეხური

I. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება და არანაკლებ 17 წელი

III. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები: საფინანსო სერვისებში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლებელია დასაქმდეს

სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის -ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებილებებში მოლრისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

IV. პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალის მომზადება, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას.

VI. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო და საბანკო დაწესებულებებში;
- განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები;
- შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები;
- ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

VIII. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა: 51 კრედიტი**
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 8 სასწავლო თვე

IX. პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება:კრედო ბანკთან და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვის+ თან;

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება
(მოდულური პროგრამებისათვის)

1.შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2.განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

3.განმავითარებელი შეფასება არ აისახება განმსაზღვრელ შეფასებაში;

4.განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

5.განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე. ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა;
6.განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს 2-ჯერ გავიდეს დამატებით გამოცდაზე, შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში ვალდებულია მოდული გაიაროს თავიდან, ამ მოდულის კრედიტების რაოდენობის საფასურის გადახდით.
7.სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება;
8.შესაძლებელია რამოდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება;
9.შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
10. შეფასების შედეგი ფორმდება შეფასების უწყისით.
11. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის გაცნობიდან არაუგვიანეს მეორე დღისა, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს სასწავლო პროცესის მენეჯერს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა. საჭიროების შემთხვევაში, საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი.

საგნობრივი

11. პრაქტიკოსი ექთანი -V საფეხური

I. პროგრამის სახელწოდება: პრაქტიკოსი ექთანი (V საფეხური);

II. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

III. ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, რომელშიც შედის პროგრამით და სილაბუსებით გათვალისწინებული აქტივობები.
საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 150 კრედიტს. პროგრამის სრული მოცულობაა 3750 საათი, ხანგრძლივობა - 97 კვირა. აქედან 50%, ანუ 75 კრედიტი (1875 საათი) ეთმობა თეორიულ სწავლებას, ხოლო 50 %, ანუ 75 კრედიტი (1875 საათი) პრაქტიკას. პრაქტიკისა და სასწავლო კომპონენტის პროცენტული თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რაც დასტურდება შესაბამისი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტით.
სფეროს აღწერა და პროგრამის აქტუალობა:პრაქტიკოსი ექთანი არის ჯანდაცვის მიმართულების საექთნო საქმის დარგის კვალიფიკაცია, მას ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ერთ–ერთი საკვანძო და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი დანიშნულებაა ნებისმიერი ასაკის ინდივიდების, ოჯახების, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ან/და თემის ჯანმრთელობის დაცვა და დაავადებათა პრევენცია, ჯანმრთელობის აღდგენა–შენარჩუნებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მეშვეობით. პრაქტიკოსი ექთანი გადამწყვეტ როლს ასრულებს ავადობა–სიკვდილობის მინიმიზაციაზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებასა და ეფექტურობის უზრუნველყოფაში.
პრაქტიკოსი ექთნის საქმიანობა ასევე მოიცავს ავადმყოფთა, უნარშეზღუდულთა ანდა ტერმინალურ პაციენტთა მოვლას/მართვას.
საექთნო საქმის თეორიის, საბაზისო სამედიცინო და ქცევითი მეცნიერებების ცოდნისა და ძირითადი კლინიკურიუნარების პრაქტიკაში გამოყენების მეშვეობით პრაქტიკოსი ექთანი ადექვატურად პასუხობს მოსახლეობის ჯანდაცვისმუდმივად ცვლად საჭიროებებს და ავლენს ახალ გამოწვევებზე რეაგირების უნარს. სიცოცხლის მანძილზე სწავლა დაუწყვეტი პროფესიულიგანვითარებისთვის მზადყოფნა – პრაქტიკოსი ექთნის ერთ–ერთი ძირითადი კომპეტენციაა.
სამედიცინო მიღწევები და თანამედროვე ტექნოლოგიები პრაქტიკოსი ექთნისგან მოითხოვს მაღალი დონის პროფესიულ ცოდნას, უნარებს, დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს, რასაც უზრუნველყოფს ქვეყნის ჯანდაცვის პრიორიტეტებზე, ეპიდემიოლოგიურ, დემოგრაფიულ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებზე ორიენტირებული და მტკიცებითი მედიცინის პრინციპებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამა.
წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ინტერბიზნესის აკადემიის მიერ კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ცენრტრთან ერთობლივად და მათი სრული მხარდაჭერით, პროგრამა მომზადებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, ევროკავშირის, აშშ ემორის, სკრენტონის უნივერსიტეტების სერტიფიკატის მქონე ექთანი-ტრენერების მიერ. საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია სტანდარტის სრული დაცვით, ამავე დროს ამ სახის პროგრამა საქართველოს პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში ახალი სიტყვაა, არის ინოვაციური, ხელს უწყობს საქართველოში საექთნო საქმის პოპულარიზაციას და განვითარებას და თანხვედრაშია მსოფლიოში აპრობირებული სწავლების სტილთან;
ეს პროგრამა არის საფუძველი საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისთვის. ურთიერთთანამშრომლობისა და სასწავლო პროცესის რეგულირების

შესახებ ხელშეკრულებების თანახმად, სწავლება ძირითადად იწარმოებს კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ცენტრის და „საქართველოს კარიტასის“ სასწავლო საკონსულატაციო ცენტრის თანამდროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ ბაზებზე (მულტიფუნქციური მანეკენები და სხვადასხვა სიმულატორები), სადაც მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული თეორიული სწავლება გადაზრდილია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში, რაც გარანტია იმისა რომ ჩვენი კურსდამთავრებულები იქნებიან მაღალი კვალიფიციკაციის სპეციალისტები, რაც ობიექტურად გაზრდის მათი შემდგომი დასაქმების შესაძლებლობას და თითოეული მათგანი გახდება სასურველი კადრი ნებისმიერი თანამედროვე კლინიკისთვის. შესაბამისი ცოდნისა და უნარჩვევების მქონე კურსდამთვრებულებს ექნებათ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და მოსახლეობაში არსებულ და ცვალებად საჭიროებებზე, მომავალ პრიორიტეტებთან ეფექტური რეაგირების უნარი, შეძლებენ დამოუკიდებელ პროფესიულ საქმიანობას, და განუვითარდებათ მზადყოფნა უწყვეტი პროფესული განვითარებისათვის. ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და კონკრეტული მიზნების დასახვით.
სასწავლო კურსებს წარუძღვებიან კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ცენტრის და „საქართველოს კარიტასის“ სასწავლო საკონსულტაციო ცენტრის ექთანი-ტრენერები, რომელთაც გავლილი აქვთ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საექთნო საქმის სასწავლო კურსი.

დასაქმების სფერო
პრაქტიკოსი ექთნის დასაქმების სფერო მოიცავს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს,ჰოსპისებს, ეთიკურკომიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ სფეროებს

პროგრამის მიზანია მოამზადოს პრაქტიკოსი ექთანი, რომელმაც იცის საექთნო მოვლის მიზნები და ამოცანები; ავადმყოფის მოვლის ძირითადი საშუალებები, ფორმები და მეთოდები; მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს; იცოდეს და გაცნობიერებული ჰქონდეს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები; იცნობდეს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული ჰქონდეს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო
სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და /ან სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;

იცის და გაცნობიერებული აქვს: საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები; საექთნო საქმის სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკურ–პოლიტიკური ასპექტები; პრაქტიკოსი ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმინაობის კონტექსტში; მართვისა და ლიდერობის ძირითადი პრინციპები;

იცნობს: ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსიექთნის დანიშნულება; უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს დაგაცნობიერებული აქვს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს; ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს;

უზრუნველყოფს: პაციენტთა ტრიაჟს, პირველად საექთნო შეფასებას დამონიტორინგს;

ფლობს: გადაუდებელი მედიცინის საფუძვლებს (**BLS, ACLS, PHTLS, ATLS**);

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია კლიენტის/პაციენტის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკური მოვლის/მართვის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა; კლინეტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობისნორმისა და დევიაციის ნიშნების ამოცნობა, ტრიაჟი და პირველადი საექთნოშეფასება, ადექვატური ინტერპრეტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება; კლიენტის/პაციენტის სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების დროული შეფასება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება; პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა; კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, საექთნო შეფასების, პრობლემის იდენტიფიცირების, გეგმის შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის საფუძველზე; კლიენტის/პაციენტის მართვის გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ინვაზიური ჩარევებისა და არაინვაზიური პროცედურების მოვლა/ წარმოება; მასზე დელეგირებული სამკურნალწამლო და სამედიცინო ტექნიკურ დატექნოლოგიურ საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენება, შენახვა და გამოყენებული მასალის განადგურება უსაფრთხოების წესების დაცვით; კლიენტის/პაციენტის ღირსების, უფლებების დაცვა, ადვოკატირება დაასოცირებული ინფორმაციის კონფიდენციურობის უზრუნველყოფა; კლიენტის/პაციენტის, ოჯახის წევრების ან/და მომვლელის ინფორმირება და განათლება, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში; სამედიცინო გუნდში ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა; დაქვემდებარებული ადამიანური რესურსების ეფექტური სწავლება/ განათლება, მართვა, ფუქნციების ადექვატური

დელეგირება; შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა, დაცვა, გადაცემა და გავრცელება; საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სკრინინგ–ტესტების, ადექვატური პრევენციული ღონისძიებების ან/და იმუნიზაციის წარმოება; ჯანმრთელობის ხელშეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით.

დასკვნის გაკეთების უნარი

შეუძლია გამოკვეთილი პრობლემის ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება; დროულად ამოიცნოს კლიენტის/პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელის შემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და სხვისი დახმარებით ან დამოუკიდებლად აღმოფხვრას ისინი; შესაბამისი კორექტივები შეიტანოს მოვლის/მართვის გეგმაში და ცვლილებები შეათანხმოს სამედიცინო გუნდის დანარჩენ წევრებთან; ამოიცნოს კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის რისკ–ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად, გადაუდებელი საჭიროებების შემთხვევაში კი - დამოუკიდებლად.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა. უნარი შესწევს მშობლიურ და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დაამყაროს სამედიცინო პერსონალთან, ჯანდაცვისა და სოციალურ მუშაკებთან, კლიენტებთან/პაციენტებთან და სხვა ინდივიდებთან, თუ ინდივიდთა ჯგუფებთან საექთნო საქმის ეფექტური განხორციელების მიზნით; იგი ფლობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშულებებს მშობლიურ და უცხოურენებზე წარმოებული ინფორმაციის მოპოვების, ასევე დამუშავების, შენახვისა და საჭიროების შემთხვევაში, გავრცელებისა და დემონსტრირების მიზნით; იგი იყენებს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოებისთვის, შენახვისა და დაცვისთვის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, გადაცემისა და გავრცელებისთვის; აღნიშნული კომპეტენცია მას შეუძლია განხორციელოს როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენებზე; უნარი შესწევს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს. აქვს პრეზენტაციის უნარი.იგი წარმატებით იყენებს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის მიზნით.

სწავლის უნარი

შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლია მოძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას.

ღირებულებები

განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს საექთნო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად; მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; კრიტიკულად უდგება საკუთარ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ადექვატურ პროფესიულ შენიშვნებს, მითითებებსა და რეკომენდაციებს; აფასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას.

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესი (საგნობრივი პროგრამისთვის)

პროფესიულისტუდენტისსასწავლოსაქმიანობა(დატვირთვა)

კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას ;
- გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში:

- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- გამოცდის ჩაბარებას.

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი

მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:
- შუალედურ შეფასებას;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

სწავლების მეთოდები

სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევისათვის შემუშავებულია სწავლების ადეკვატური მეთოდები:
- თეორიული სწავლება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- სასწავლო პრაქტიკა
- საწარმოო პრაქტიკა

შეფასების ფორმები და მეთოდები

სწავლებისას და პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა სახის შეფასების ფორმები და მეთოდები, რაც დეტალურად არის გაწერილი თეორიული და პრაქტიკული ფორმატის სილაბუსებში.
შეფასების მეთოდი:
- ტესტი
- ზეპირი გამოკითხვა
- ჯგუფური/ინდივიდუალური მუშაობა
- დაკვირვება და დემონსტრირება

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს საშუალება აქვსკანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიიღოს შემდგომი განათლება.

გალერეა

სასწავლო პროცესი





IBA
1992







დასვენება და გართობა სწავლის თანმდევია







სწავლა-გართობაში არც ქველმოქმედება გვავიწყდება



ყველაფერთან ერთად უსაფრთხოება უმთავრესია